თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №174798

ნომერი: AR145357

თარიღი : 01.05.2012

გაცემის თარიღი : 21.05.2012

გაცნობის თარიღი : 23.05.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მარუხის გმირები , N 15 , ზემო ვაკის განაშენიანება (ნაკვეთი N25);

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი კვიწინაშვილი პ/ნ 01006005364
- თბილისი დიღმის მას. VI კვ. კორ. 1 ბ. 9

ორგანიზაცია:
- გოდაკო+ კოდი: 202269035

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის
2010 წლის 02 ივლისის სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის
გამოყენების №981 პირობებში დამატების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2010 წლის 02 ივლისს ქ. თბილისში, მარუხის გმირების ქ. #15-ში (ზემო ვაკის განაშენიანება, ნაკვეთი #25) მდებარე შპს ,,მარუხი 2008"–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით დამტკიცდა №981 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 01 მაისს №AR145357 განცხადებით მომართა შპს ,,მარუხი 2008"–ის მინდობილმა პირმა გიორგი კვიწინაშვილმა და მოითხოვა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების №981 პირობებში ცვლილების შეტანა საპროექტო მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის ცვლილების გამო.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2010 წლის 02 ივლისს №981 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით გაცემული იქნა 1810 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.14.11.058.051, მესაკუთრე შპს ,,მარუხი 2008"). სამსახურის 2011 წლის 15 მარტს #01/476 ბრძანებით ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე შეთანხმებული იქნა შესაბამისი არქიტექტურული პროექტი, ხოლო 2011 წლის 16 აგვისტოს #ნ/2466 ბრძანებით გაიცა შესაბამისი მშენებლობის ნებართვა (სანებართვო მოწმობა #ნ/2466-1).

დღევანდელი მდგომარეობით მოხდა საპროექტო მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის ცვლილება ფართობისა და საკადასტრო კოდის ცვლილების გარეშე, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის მიერ გაცემული დოკუმენტაციით (საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის №882011520574; მომზადების თარიღი: 09.12.2011 წ.; საკადასტრო კოდი: 01.14.11.058.051). ამასთან, ვინაიდან საპროექტო ობიექტი მშენებარეა და აღნიშნულ ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ–3)–სათვის დადგენილი პარამეტრები, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია #981 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში დამატების განხორციელება ახალი საკადასტრო გეგმის დაფიქსირებით.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის. ამდენად, სამსახურს ქალაქთმშენებლობითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაკმაყოფილდეს შპს ,,მარუხი 2008"–ის მინდობილი პირის გიორგი კვიწინაშვილის 2012 წლის 01 მაისის №AR145357 განცხადება;

2. ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 02 ივლისის №981 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს 2011 წლის 09 დეკემბერს მომზადებული საკადასტრო გეგმა (საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის №882011520574; მომზადების თარიღი: 09.12.2011 წ.; საკადასტრო კოდი: 01.14.11.058.051).

3. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნას თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 02 ივლისის №981 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) მისი